ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 4723111001**

თარიღი:**21/04/2023**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 4

დ. ჩოხატაური

11 აპრილი 2023 წელი

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე.

ესწრებოდნენ: მაია გიორგაძე, დავით ტყეშელიაძე, დავით გუდავაძე, ლაშა ირემაძე,ჯუმბერ ბერძენიშვილი,ბაია ძნელაძე;

არ ესწრებოდნენ: მიხეილ თავართქილაძე, ნოდარ ცხომელიძე, მარინე თავაძე,ბაჩო ახალაძე;

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016-2023 წწ გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდებასთან დაკავშირებით მიღებული განკარგულებების შესაბამისად განსახორციელებელი ობიექტების მონიტორინგის შესახებ.

2.საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, დავით ტყეშელიაძემ,ლაშა ირემაძემ ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016-2023 წწ გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდებასთან დაკავშირებით მიღებული განკარგულებების შესაბამისად განსახორციელებელი ობიექტების მონიტორინგის შესახებ/

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2.საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016-2023 წწ გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდებასთან დაკავშირებით მიღებული განკარგულებების შესაბამისად განსახორციელებელი ობიექტების მონიტორინგის შესახებ.

მოისმინეს:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016-2023 წწ გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდებასთან დაკავშირებით მიღებული განკარგულებების შესაბამისად განსახორციელებელი ობიექტების მონიტორინგის შესახებ.

მომხსნებელი:მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ და გააკეთა განმარტება:

სამანდატო, საპროცედურო საკითთა და ეთიკის კომისია დარგობრივად განიხილავს საკითხებს და ამზადებს პროექტებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებების შესახებ. რეგლამენტის მე-20 მუხლის „ვ „ პუნქტის შესაბამისად კომისიას აქვს უფლებამოსილება მონიტორინგი განახორციელოს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესარულებაზე, შესაბამისად წარმოგიდგენთ წინადადებას, საკრებულოს მიერ მიღებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან დაკავშირებით მიღებულ განკარგულებებზე რა რეაგირება მოახდინა მუნიციპალიტეტის მერიამ. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნულ ინფორმაციას კომისიის სახელით გამოვითხოვთ წერილობით.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება :

კომისიამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის წინადადება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016-2023 წწ გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდებასთან დაკავშირებით მიღებული განკარგულებების შესაბამისად განსახორციელებელი ობიექტების მონიტორინგის შესახებ და თანხმობა მისცა კომისიის სახელით წერილი გადაიგზავნოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოსათხოვად.

II საკითხი საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

მოისმინეს:

2.საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

მომხსნებელი:მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ აღნიშნა, რომ კომისიის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე შეისწავლოს კომისიამ საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობის საკითხი. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით ინფორმაცია გამოთხოვილი იქნება საკრებულოს აპარატიდან, რომლებიც აწარმოებენ საკრებულოს წევრთა სხდომებზე დასწრების სარეგისტრაციო დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები განხილული იქნება სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ და გაანალიზების შემდგომ მომზადებული ანგარიში წარედგინება ბიუროს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება :

კომისიამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის ინიციატივა, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული, საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ საკითხის შესწავლის მიზნით, ინფორმაცია გამოთხოვილ იქნას საკრებულოს აპარატიდან, რომლებიც აწარმოებენ საკრებულოს წევრთა სხდომებზე დასწრების სარეგისტრაციო დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები განხილული იქნება სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ და გაანალიზების შემდგომ მომზადებული ანგარიში წარედგინება ბიუროს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი